პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 ნოემბერი შაბათი 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 279 (14883)

ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავი



მარქსისა და ენგელსის დიდი მსოფლიო-ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ მეცნიერული ანალიზით დაამტკიცეს, რომ გარდუვალია კაპიტალიზმის კრახი და მისი გადასვლა კომუნიზმზე, რომელშიც აღარ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ვ. ი. ლენინი.



ფრიდრიხ ენგელსი.

ჩაუქრობელი ჩირაღდანი

ფრიდრიხ ენგელსი დედამიწის ყველა კუთხეში კომუნისტები, მოწინავე საზოგადოებრიობა მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საერთაშორისო პროლეტარიატის გენიალური მასწავლებლისა და ბელადის ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავს.

ვამბობთ ფრიდრიხ ენგელსი და თვალწინ წარმოგვიდგება გენიალური კარლ მარქსის უზარმაზარი ფიგურა. მადლიერი კაცობრიობა არასოდეს არ დაივიწყებს ერთმანეთს ამ ორი ადამიანის სახელებს. მათ მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და ჩაგრულ ხალხებს უჩვენეს საუკუნეობრივი ექსპლოატაციისა და დამონებისაგან განთავისუფლების გზა, სოციალური და სულიერი თავისუფლების. მოპოვების გზა. კაცობრიობის ისტორიაში მარქსმა და ენგელსმა პირველებმა მეცნიერულად დაასაბუთეს ანტიხალხური კაპიტალისტური წყობილების რევოლუციურად დამხობის აუცილებლობა, სოციალიზმი ოცნებებიდან მეცნიერებად აქციეს და ყოველმხრივ დაასაბუთეს მოძღვრება ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნება ექსპლოატაცია, ჩაგვრა და სიღატაკე. მათ პირველებმა მიუთითეს პროლეტარიატის ისტორიულ მისიაზე კაპიტალიზმის დამხობაში და ახალი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ვამბობთ ფრიდრიხ ენგელსი და თვალწინ წარმოგვიდგება კოლოსალური ადამიანი მთელი თავისი სიდიადით. ენგელსი — რევოლუციონერი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ლიტერატურული კრიტიკოსი, მთარგმნელი, პოლიტიკური პუბლიცისტი, კონკრეტული სოციოლოგიის ფუძემდებელი, ენათმეცნიერი, სამხედრო თეორეტიკოსი... იგი საფუძვლიანად ერკვეოდა ისეთ მეცნიერებებში, როგორიც არის ფიზიკა, ქიმია,, ბიოლოგია, მათემატიკა, ასტრონომია და ამასთან თვითეული მათგანი გაამდიდრა თავისი მოსაზრებებით.

ფრიდრიხ ენგელსი დიდი იყო, როგორც მოაზროვნე, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მოქალაქე... იგი იყო უბადლო მეგობარი, რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის ისტორიამ. ამიტომაც წერდა ვ. ი. ლენინი: ძველებური გადმოცემები მოგვითხრობენ მეგობრობის სხვადასხვა ამაღელვებელ მაგალითს. ევროპის პროლეტარიატს შეუძლია თქვას, რომ მისი მეცნიერება შეიქმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ... მისი სიყვარული ცოცხალი მარქსისადმი და მოკრძალება გარდაცვალებულის ხსოვნის წინაშე უსაზღვრო იყო. ამ მედგარ მებრძოლს და მკაცრ მოაზროვნეს ღრმად მოსიყვარულე გული ჰქონდა.

ამ ორი თანამოაზრის და მეგობრის ცხოვრება იყო პროლეტარიატისადმი უანგარო გმირული სამსახურის დიადი მაგალითი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს მეცნიერული თეორია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბუნების, საზოგადოების, ადამიანის აზროვნების განვითარების, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ზოგადი კანონები. მარქსისა და ენგელსის სახელებთან დაკავშირებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის დაწყება.

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი და ამით ძირეული გადატრიალება მოახდინეს ფილოსოფიაში. თავიანთი გენიალური გამოკვლევებით მათ გადატრიალება მოახდინეს პოლიტეკონომიის დარგში და შექმნეს ნამდვილად მეცნიერული ეკონომიური თეორია. მარქსმა და ენგელსმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩამოაყალიბეს მოძღვრება კომუნიზმის შესახებ და ამით მოახდინეს უდიდესი რევოლუცია ადამიანთა წარმოდგენაში საზოგადოებრივი განვითარების შინაარსსა და პერსპექტივებზე.

„აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისა!“ — ასე წერდნენ მარქსი და ენგელსი თავიანთ საპროგრამო დოკუმენტში და მათ მსოფლიოს გადასძახეს „პროლეტარიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ დღეს კომუნიზმი აჩრდილი კი არა, კუნთმაგარი, ცოცხალი სინამდვილეა, რომელიც განაზღვრავს მსოფლიოს ისტორიის მთელ მსვლელობას.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ მათი საქმე და მოძღვრება წინ წასწია და შემოქმედებითად განვითარა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

მარქსიზმის დროშისადმი ერთგულებით რუსეთის მუშათა კლასმა, მშრომელმა გლეხობამ მოიპოვეს გამარჯვება ოქტომბრის რევოლუციაში, დაამხვრიეს მონობის ბორკილები და შეიძინეს სოციალური თავისუფლება. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით ჩვენმა ხალხმა ააშენა სოციალიზმი სსრ კავშირში, გაიმარჯვეს სოციალისტურმა რევოლუციებმა ევროპის, აზიის მთელ რიგ ქვეყნებში და კუბაზე.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დიადი მიმზიდველი ძალა ის არის, რომ იგი გამოხატავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, ფიქრებსა და მისწრაფებებს. დღეს კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთი პრაქტიკული და თეორიული საქმიანობით შემოქმედებითად ამდიდრებენ მარქსის, ენგელსის, ლენინის უკვლეს მძლე მოძღვრებას საზოგადოებრივი განვითარების ახალი მონაცემების საფუძველზე.

დღეს საბჭოთა ხალხი ფ. ენგელსის ხსოვნას აღნიშნავს განსაკუთრებული პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით. იგი თვალს ავლებს მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით მოპოვებულ ყველა გამარჯვებას, რომელშიც ხილულად ჩანს მეცნიერული კომუნიზმის ამ ერთ-ერთი ფუძემდებლის იდეური მემკვიდრეობის ძალა და გარდაქმნელი როლი. მარქსიზმ-ლენინიზმი ჩაუქრობელი ჩირაღდანია, რომელიც საბჭოთა ადამიანებს უნათებს კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას.

ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადება. ყოველ დღეს მოაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულების ახალ-ახალი დადასტურება. ადამიანები საკუთარი ხელით ქმნიან იმ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც შექმნეს თავიანთი მოძღვრება მარქსმა და ენგელსმა. წარმოებს დაუცხრომელი ბრძოლა კომუნისტური ურთიერთობის დასამკვიდრებლად.

საქართველოში მარქსიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლას დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. ეს ტრადიცია გრძელდება დღესაც. იგი განსაკუთრებით თავს იჩენს ახლა, საქართველოს კომპარტიის შექმნისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისათვის მზადების დღეებში. მადლიერი ქართველი ხალხი ყველა თავის გამარჯვებას უკავშირებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი ერთგულებას. ამიტომაც დღეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებსა თუ კოლმეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში იმართება სამეცნიერო სესიები, თეორიული კონფერენციები, მოხსენებები და საუბრები ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით.

მარქსიზმ-ლენინიზმი უნათებს ხალხებს თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და პროგრესის გზას. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ კომუნისტები მშრომელთა ინტერესების ყველაზე მამაცი დამცველები არიან. მათ მიჰყვებიან ადამიანთა უზარმაზარი მასები, იზიარებენ მათს შეხედულებებსა და მრწამსს, იწონებენ და მხარს უჭერენ მათს პოლიტიკას. დედამიწის ყველა კუთხეში მტკიცდება და იწრთობა კომუნიზმისათვის მებრძოლი ძალები. ყოველი დღე ადასტურებს ვ. ი. ლენინის სიტყვების სიმართლეს: „...მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა“.

უძლეველია მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრება — ეს მარად ჩაუქრობელი ჩირაღდანი.

ზეიმი პრაღაში

პრაღა. 26 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების პრეზიდიუმმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმმა გუშინ საღამოს საზეიმო ვახშამი გამართეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის **ლ. სვობოდას** პატივსაცემად მისი დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით. ვახშამზე ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებთან ერთად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.**

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. ჰუსაკმა.**

საზეიმო ვახშამზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ,** რომელმაც თქვა გულწრფელი სახარული გრძნობით ვმონაწილეობთ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ერთ-ერთი სახელოვანი შვილის, მისი ეროვნული გმირის, გამოჩენილი მხედართუფროსის, ჩეხოსლოვაკიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნაცადი მებრძოლის, საბჭოთა ხალხის დიდი მეგობრის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ლუდვიკ სვობოდას იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმში.

ნ. ვ. პოდგორნიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი სიხარულით ეგებებიან მომზე ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიერ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იმ პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის მოპოვებულ წარმატებებს, რომელიც ზეიმუშავეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის აპრილისა და შემდგომმა პლენუმებმა, წარმატებებს, რომლებიც გამოხატავენ ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ძირეულ ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით, ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით ნ. ვ. პოდგორნიმ გულითადად მიულოცა ლ. სვობოდას დაბადების 75 წლისთავი და ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდოებით — კლემენტ გოტვალდის ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი, ქათინაურებისათვის, და აღთქვა მათ, რომ მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საქმეს, სოციალისტური მშენებლობის, საბჭოთა კავშირთან და სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

ნ. ვ. პოდგორნი საშოგლოში გამოემგზავრა

პრაღა. 27 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრაღიდან საშოგლოში გამოემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** რომელიც ჩეხოსლოვაკიაში იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდას დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ,** რომელიც პრაღიდან მოსკოვში მოემგზავრებოდა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯადმოთრენის დროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს **მ. სპიხალსკის** ჯოკუბანენა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ვბრუნდები რა საშოგლოში ჩეხოსლოვაკიიდან, გულწრფელად მახარებს, რომ შესაძლებლობა მომეცა ჯერ ერთ მოგესალმოთ და გისურვოთ ბედნიერ მოგზაურობა, ჯანმრთელობა და წარმატებანი დიდ და პასუხსაგებ მუშაობაში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის საკეთილდღეოდ, ხოლო მთელ მოძმე პოლონელ ხალხს ვუსურვებ ბედნიერება, აყვავება და სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას“. (საკდესი).

სამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სოფლეთში ჩავიდა

ბუდაპეშტი, 27 ნოემბერი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობის მონაწილე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი და დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. რომანოვი ბუდაპეშტიდან ერევანში გაემგზავრნენ სომხეთის სსრ და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

უნგრეთის დედაქალაქის ფერიჰეგდის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები გააცილეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ჟ. შოპმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ბომბოჩინმა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ო. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ ბ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის ელჩმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ფ. ვ. ტერეშინმა.

27 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. რომანოვი ბუდაპეშტიდან ერევანში ჩავიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ სომხეთის სს რესპუბლიკისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში.

ერევნის აეროპორტში საპატიო სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ა. ა. ქოჩინიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. ხ. არუთუნიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. ა. მურადიანი, რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, საქალაქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მომძე რესპუბლიკათა დელეგაციები, რომლებიც სომხეთში საიუბილეო ზეიმზე ჩავიდნენ, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები. (საკდესი).

სტუმრები მთელი საბჭოთა კავშირიდან

ერევანი, 27 ნოემბერი. (საკდესი). მომძე საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის — სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და სომხეთის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად ერევანში ჩამოვიდნენ დელეგაციები: რუსეთის ფედერაციისა — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ა. იასნოვის მეთაურობით; უკრაინის სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. პ. ე. შელესტის მეთაურობით; ბელორუსიის სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ფ. მაშეროვის მეთაურობით; უზბეკეთის სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. შ. რ. რაშიდოვის მეთაურობით; ყაზახეთის სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. დ. ა. ბუნაევის მეთაურობით; საქართველოს სს რესპუბლიკისა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით; აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. ა. ალიევის მეთაურობით; ლიტვის სს რესპუბლიკისა — ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ა. მანელიშისის მეთაურობით; მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ი. ი. ბოდიულის მეთაურობით; ლატვიის სს რესპუბლიკისა — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ა. ე. ვოსის მეთაურობით; ყირგიზეთის სს რესპუბლიკისა — ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ტ. უსუბალიევის მეთაურობით; ტაჯიკეთის სს რესპუბლიკისა — ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. დ. რ. რასულოვის მეთაურობით; თურქმენეთის სს რესპუბლიკისა — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. მ. გაპუროვის მეთაურობით; ესტონეთის სს რესპუბლიკისა — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ი. ბ. კებინის მეთაურობით; გმირი ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციები. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. ა. გრეჩკო.

მეგობრული შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პრაღა, 26 ნოემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** დღეს ეწვია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ნ. ვ. პოდგორნის გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ჰუსაკი,** აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკები.

საუბარში, რომელიც გულითადობის, ამხანაგობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა **ვ. ბილიაკმა, ვ. ბილაკმა, პ. ცოლოტკამ, ტ. ერბანმა, ჯ. კაპეკმა, ი. კემპნიმ, ი. კორჩაკმა, ი. ლენარტმა, ი. პილერმა, ლ. შტროუგალმა, დ. განსმა,** ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა და სამდივნოს წევრებმა **ი. ფოიტიკმა, მ. გრუშკოვიჩმა, მ. მოცმა** და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ **მ. იაკუბმა.**

საუბრის მსვლელობაში ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ახლანდელი მოღვაწეობის ძირითადი პრობლემების შესახებ. განიხილეს ორ პარტიასა და ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და ძმური მეგობრობის გაშმტკიცების საკითხები. ერთმანეთს გაუზიარეს აგრეთვე აზრები საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთი აქტუალურ პრობლემაზე.

ნ. ვ. პოდგორნიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი დიდად აფაფოფილი არიან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა წარმატებებით, რომლებიც 1969 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მიღწეულია სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში **ხ. ვ. ჩერვონენკო.**

სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის

მურომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა სრულიად რუსეთის თათბირის მონაწილენი უაღრესი დაინტერესებითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილავდნენ საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების გზებს, მათს ამოცანებს პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის დირსეულად შეხვედრისათვის.

26 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა თათბირის პლენარული სხდომა.

შეკრებილნი გულითადად შეხვდნენ ამხანაგებს **გ. ი. ვორონოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს.**

მოსმენილ იქნა მოხსენებანი რვა სექციის მუშაობის შესახებ, რომლებმაც წინა დღეს საფუძვლიანად განიხილეს სასოფლო და სადაბო საბჭოების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

როგორც გამოსვლებში აღინიშნა, სექციათა სხდომებმა მის მონაწილეთა დიდი აქტივობით ჩაიარა. ღრმად და ყოველმხრივ შუქდებოდა სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების კეთილნაყოფიერი გავლენა, ხაზი გაესვა იმას, რომ ამაღლდა საბჭოების მუშაობის დონე პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. სექციათა მონაწილეებმა წამოაყენეს საქმიანი წინადადებანი, გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები რუსეთის სფსრ სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიმართ.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდა რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლ. ი. ფლორენტიევი.**

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. მ. ა. სუსლოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, მისი გამოსვლის დროს არაერთხელ გაისმა ტაში.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა სრულიად რუსეთის თათბირი დახურულად გამოაცხადა. (საკდესი).

ლენინის ორდენი — კუიბიშევის ოლქს

დიდი წარმატებებისათვის, რომლებსაც ოლქის მშრომელებმა მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 26 ნოემბრის ბრძანებულებით კუიბიშევის ოლქი დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

ბოლო სომხეთში

რევოლუციური ბრძოლის ცენტრი

რესპუბლიკის სამრეწველო და კულტურული ცენტრში — ლენინაკანში გაიხსნა მოძრავი გამოფენა, რომელიც ეძღვნება საბჭოთა სომხეთის 50 წლისთავს. იგი მოგვითხრობს შირაქის — რესპუბლიკის ვრცელი ტერიტორიის ისტორიაზე, რომელიც ცნობილია სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით. სომხეთის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა 1920 წელს ცნობილმა მაისის აჯანყებამ ალექსანდროპოლში (ლენინაკანში). აქედან დაიწყო თავისი ძლევამოსილი სვლა ლეგენდარულმა ჯავშნიანმა მატარებელმა „ვართან ზორავარმა“, რომელიც ანადგურებდა დაშნაკებს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალები შირაქის წარსულსა და აწმყოზე, მგზნებარე ლენინელების ს. შაუმიანის, მ. მელიქიანის, გ. ათარბეკიანის, ბ. კნუნიანცისა და სხვა რევოლუციონერთა იშვიათი ფოტოსურათები, პირადი ნივთები.

გამოფენას უჩვენებენ სომხეთის ქალაქებსა და რაიონებში.

მცირე ელექტროსადგურები

ერევანი, 18 ნოემბერი. (საკდესის კორ. რ. აბატილიანი). სომხეთის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო „დეს-60რ“ მარკის დიზელ-ელექტრული სადგურების სერიული წარმოება.



ერევანი. სასტუმრო „ანი“ საიათნოვას ქუჩაზე.

ზეიმი ბულგარეთში

სოფია. 26 ნოემბერი. (საკდესი). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ბულგარეთის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის ტრადიციული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის ეროვნული ფრონტის ბულგარეთის ტრადიციული ფრონტის ეროვნული

150

ფრიდრიხ ენგელსის

ფ. ენგელსი — მარქსიზმის დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს 150 წელი შესრულდა მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გენიალური თეორეტიკოსისა და დიდი რევოლუციონერის ფრიდრიხ ენგელსის დაბადებიდან.

3. ი. ლენინი ამბობდა: არ შეიძლება გაიგო მარქსიზმი და არ შეიძლება მთლიანად გადმოსცე იგი ენგელსის თხზულებათა შესწავლის გარეშე.

ისტორიამ არ იცის მარქსიზმზე უფრო ჰუმანური მოძღვრება. მარქსმა და ენგელსმა ნათლად აჩვენეს, რომ კაცობრიობის ისტორია შრომელი მასების ისტორიაა, რომ კლასობრივმა უთანასწორობამ დაამახინჯა ადამიანური ცხოვრების არსი: თავისუფალი და შემოქმედი ადამიანი აქცია მონად. ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია გაათავისუფლოს ადამიანი, შექმნას სამართლიანი საზოგადოება, არის პროლეტარიატი, რომელიც სხვა კლასებისაგან განსხვავებით სპობს არა ამა თუ იმ ფორმას ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისას, არამედ ბოლოს უღებს ყოველგვარ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. ამაშია პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული მისია, ამაშია მისი იდეოლოგიის ჰეშმარიტი ჰუმანიზმი.

მარქსმა და ენგელსმა თავიანთი მოძღვრების შექმნამდე განვლეს ფილოსოფიური ევოლუციის რთული და ძნელი გზა.

ფ. ენგელსის ფილოსოფიური ევოლუცია, ისევე როგორც მარქსისა, იდეალიზმის და რევოლუციური დემოკრატიზმის დაძლევის გზით წარიმართა. ახალგაზრდა ენგელსი საშინელი სიძულვილით ისესხებს პრუსიის მონარქს, ხოლო მისი ოფიციალური ფილოსოფოსის შელინგის ლექციების მოსმენის შემდეგ წერს წერილების სერიას, რომელშიც შელინგს ბრალს სდებს მისტიციზმში, ღვთისმსახურებასა, თავისუფლების იდეალადმი ღალატსა და პრუსიის მონარქისადმი მონურ სამსახურში.

გერმანიიდან მანჩესტერში საცხოვრებლად გადასული ენგელსი უშუალოდ ეცნობა ინგლისის მუშათა კლასის ცხოვრებას და წერს შესანიშნავ შრომებს — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის მონახსაზები“ და „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ამ შრომებში ენგელსი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ ეკონომისტებს კეთილდა: მარქსი უმთავრესად ეკონომიურ პრობლემებზე მუშაობდა, ხოლო ენგელსი — ფილოსოფიისა და ბუნებათმეცნიერების სფეროში.

დიდია ენგელსის დამსახურება ფილოსოფიის ისტორიის როგორც მეცნიერების შექმნაში. ისტორიის მატერიალისტურად გაგების საფუძველზე ენგელსმა ახსნა ფილოსოფიის როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის არსება: ფილოსოფია მსოფლმხედველობაა, აზრთა სისტემაა მთელი სინამდვილის შესახებ და მისი წარმოშობა და განვითარება განსაზღვრულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონითა და სტრუქტურით. ყოველი ეპოქის ფილოსოფიას კლასობრივი ბრძოლის დაღი აზის. ყოველი ფილოსოფიური მოძღვრების პროგრესულობა მისი შემქმნელი კლასის პროგრესულობით არის განპირობებული.

ფილოსოფიის განვითარების მთელ მანძილზე ფილოსოფიურ მოძღვრებათა ურთიერთშეცვლის შესაბამისად, ისტორიულად, იცვლებოდა ფილოსოფიის საგნის, მისი ძირითადი საკითხის გაგება. ენგელსმა გენიალური სიღრმითა და სიცხადით განსაზღვრა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და მისი ორი მხარე. მან დაასაბუთა, რომ შეუძლებელია აგებულ იქნას შემეცნების თეორია ონტოლოგიის გარეშე, როგორც ამას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, ნეოკანტიანელები ცდილობდნენ, აჩვენა, რომ ყოველგვარი შემეცნების თეორიის განმსაზღვრელია ონტოლოგია, რადგან არ არსებობს აზრი უსაგნოდ, ხოლო საგნის პრობლემა — არსის პრობლემა, ონტოლოგიური პრობლემაა.

იმ უმდიდრესი მემკვიდრეობიდან, რომელიც ენგელსმა ამ სფეროში დაგვტოვა, შეიძლება აღინიშნოს სამი ძირითადი მომენტი:

პირველი. ენგელსმა მოგვცა ზოგადი სურათი ფილოსოფიის, განსაკუთრებით დიალექტიკისა და მატერიალიზმის განვითარებისა ანტიკურობიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, გვიჩვენა ბერძნული სტიქიური დიალექტიკის მეტაფიზიკური მეთოდით, ხოლო ამ უკანასკნელის მეცნიერული დიალექტიკით შეცვლის ისტორიული აუცილებლობა. იგი განპირობებული იყო შესაბამისად მეცნიერების განვითარების სათანადო დონით. ენგელსმა მკაფიოდ მოხაზა ანტიკური, შემდეგ ახალი დროის მექანისტური და მეტაფიზიკური მატერიალიზმის უმაღლეს საფეხურამდე — დიალექტიკურ მატერიალიზმამდე განვითარების გზა.

მეორე. ენგელსმა მოგვცა სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა და ფილოსოფიურ მოძღვრებათა ანალიზი და შეფასება. ფასდაუდებელია მარქსისტული ფილოსოფიის ისტორიისათვის, როგორც მეცნიერებისათვის, ბრალისა და იუმის, კანტისა და ჰეგელის, ფრანგი მატერიალისტებისა და ფოიერბახის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა მოძღვრებათა ანალიზი. იდეალისტურ მოძღვრებათა ენგელსისეულ კრიტიკას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის საფუძვლიანი, ღრმა კრიტიკისათვის.

მესამე. ენგელსმა დაგვიტოვა იდეალისტურ მოძღვრებათა კრიტიკის მეთოდი, რომელიც მოითხოვს მათი კლასობრივი და განსოლოგიური ფესვების გახსნას, მეცნიერებასთან, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებასთან დამოკიდებულების გარკვევას.

თავის შრომებში („ანტი-დიურინგი“ და „ბუნების დიალექტიკა“) ენგელსი იძლევა თავისი დროის ბუნებათმეცნიერების მოწაფოვართა განზოგადებას სამყაროს მატერიალურობისა და ერთიანობის დასასაბუთებლად.

სამყაროს ერთიანობა მის მატერიალურობაში მდგომარეობს. ეს დებულება, — ამბობს ენგელსი, — საბუთდება ფილოსოფიისა და ბუნებათმეცნიერების ხანგრძლივი და ძნელი განვითარებით. სამყარო არის მატერია მისი მოძრაობის მრავალი ფორმით: არ არსებობს მატერია უმოძრაოდ, მოძრაობა უმატერიოდ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ასეთივე დებულება, წამოყენებული მარქსამდელი მატერიალისტების მიერ, ვერ დასაბუთდა, რადგან მარქსამდელ მატერიალისტებს მოძრაობის ცნება ესმოდათ მხოლოდ მექანიკურ მოძრაობად — სივრცეში გადაადგილებად. ცხადია, მოძრაობის გაგება როგორც მხოლოდ მექანიკური მოძრაობისა ვერ გამოგვიყვანს მეტაფიზიკის ტყეეობიდან. ენგელსი ხაზს უსვამს, რომ მექანიკური მოძრაობა ერთ-ერთი ფორმაა მოძრაობისა და არა ერთადერთი და ასახელებს მოძრაობის უფრო რთულ ფორმებს — ფიზიკურს, ქიმიურს, ორგანულსა და სოციალურს.

მატერიის მოძრაობის ფორმების ანალიზით ენგელსმა დაასაბუთა სამყაროს მატერიალური ერთიანობის თეზისი, გაარკვია ცალკეული მეცნიერებისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების პრობლემა, ნათლად აჩვენა, რომ ფილოსოფიას, როგორც „მეცნიერებათა მეცნიერებას“, ფრანგი მატერიალისტებისა და ფოიერბახის, აგრეთვე მთელ რიგ სხვა მოძღვრებათა ანალიზი. იდეალისტურ მოძღვრებათა ენგელსისეულ კრიტიკას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის საფუძვლიანი, ღრმა კრიტიკისათვის.

ენგელსმა ფასდაუდებელი ფუძემდებლური მეშვეობა გაუწია მეცნიერული ფილოსოფიის ისტორიის, ეკონომიკისა და ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ ანალიზს. ენგელსი ასაბუთებს მარქსისტული შემეცნების თეორიის ძირითად თეზისს — შემეცნების ობიექტური ხასიათის შესახებ: შემეცნების პროცესი არცოდნიდან ცოდნისაკენ სვლის პროცესია და მისი ობიექტურობა ყველაზე კარგად საბუთდება ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობით, კაცობრიობის ისტორიით. საზოგადოების განვითარების ყოველ ისტორიულ საფეხურზე „ნივთები თავისთავად“ იქცევიან „ნივთებად ჩვენთვის“: — ჯერ შეუმეცნებელი არ ნიშნავს პრინციპულად შეუმეცნებადს. ენგელსი ყველგან ხაზს უსვამს, რომ შემეცნების პროცესი ასახვის პროცესია, რომ მარქსისტული შემეცნების თეორია ასახვის თეორიაა.

თავის შრომებში ენგელსი ფართოდ განიხილავს მატერიალისტური დიალექტიკის კატეგორიებს — შესაძლებლობისა და სინამდვილის, ფორმისა და შინაარსის, არსების და მოვლენისა და სხვ. დღესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენგელსის მიერ თავისუფლებისა და აუცილებლობის კატეგორიების პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტას. ენგელსი შენიშნავს, რომ არ არსებობს თავისუფლება აუცილებლობის გარეშე, რომ თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა და მისი განხორციელება დამოკიდებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების დონეზე.

ენგელსს მიერ ამ პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა დღესაც გვაიარაღებს თანამედროვე მოდური ფილოსოფიური მიმდინარეობის — ეგზისტენციალიზმის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს აყენებს აქტუალურ პრობლემას — ადამიანის თავისუფლების შესახებ, მაგრამ ნაცვლად თავისუფლებისა, ეს თეორია ანტიდიალექტიკურობისა და იდეალისტურობის გამო ადამიანს აქცევს ბრმა ძალების მონად. ეს და მრავალი სხვა მოდური თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიური მიმდინარეობანი ასრულებენ რეაქციული ბურჟუაზიის დაკვეთას.

თავის შრომებში ენგელსი შეეხო ბუნებათმეცნიერების მრავალ პრობლემას. მან მოგვცა ბუნების განვითარების საერთო სურათი, რომელიც მეცნიერების განვითარების იმ ეტაპისთვის წარმოადგენდა ასტრონომიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მონაპოვართა ფილოსოფიურ გააზრებას.

ბუნებათმეცნიერებისა და ფილოსოფიის ურთიერთკავშირზე მიუთითებს ენგელსის დებულება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი იღებს ახალ სახეს ყოველ ახალ დიდ მეცნიერულ აღმოჩენასთან ერთად. ეს დებულება ბრწყინვალედ დადასტურდა XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის ბუნებათმეცნიერების მონაპოვართა განზოგადების საფუძველზე ლენინის მიერ დიალექტიკური მატერიალიზმის ახალი ეტაპის შექმნით მის ცნობილ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“.

უაღრესად მნიშვნელოვანია ენგელსის წვლილი ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დამუშავებაში. თავის ცნობილ ნაწარმოებში „ზრდის როლი მაიმუნის ადამიანად გადაქცევის პროცესში“ ენგელსმა გვიჩვენა, როგორ და რა მიზეზით მოხდა ნატომი ორგანული სამყაროდან ადამიანთა საზოგადოებისაკენ; დაასაბუთა, რომ ცხოველთა სამყაროს ბუნებრივ ტერიტორიაზე დასოფლებულ ადამიანს შორის არის არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი განსხვავება, რომ ამ განსხვავების საფუძველია შრომა.

აღნიშნული ნაშრომი ერთგვარი ნიადაგის მომზადება იყო ენგელსის კაპიტალური გამოკვლევისათვის — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ამ ნაწარმოებში ენგელსი გვიხატავს ნათელ სურათს, თუ შრომის განაწილებისა და გაცვლის საფუძველზე როგორ ირღვევა პირველყოფილი თემური წყობილება, როგორ წარმოიშობა ქონებრივი უთანასწორობა და, ბოლოს, — კლასები.

ფ. ენგელსმა აჩვენა, რომ კლასების წარმოშობა — პირველყოფილი თემური წყობილების — უკანასკნელ საზოგადოების გადასვლა კლასობრივ საზოგადოებად — მონათმფლობელობად საწარმოო ძალთა განვითარებით გამოწვეული სავსებით კანონზომიერი პროცესია.

ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ ენგელსს შესაძლებლობა მისცა თვითონ ეკვლია პირველყოფილი თემური წყობილება და წინააღმდეგ ბურჟუაზიული სოციოლოგიისა, რომელიც მარადიულად თვლიდა კერძო საკუთრებას, კლასებსა და თანამედროვე ოჯახის ფორმას, დაემტკიცებინა მათი ისტორიული, გარდამავალი ხასიათი.

მართალია, მეცნიერების შემდგომმა განვითარებამ ახალი, ენგელსის დროისთვის უცნობი მდიდარი მასალის მოპოვებამ, ზოგიერთი კორექტივი შეიტანა ენგელსის გამოკვლევაში, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტად დაასაბუთა ენგელსის ნაშრომის ყველა პრინციპული დებულება.

ფ. ენგელსმა ისტორიული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე დაასაბუთა, რომ პროლეტარიატი ვერ გამოიყენებს ბურჟუაზიის სახელმწიფო მანქანას, რომ უნდა დაამსხვრიოს იგი. წინაადმდეგ ანარქისტებისა, რომლებიც უარყოფდნენ საერთოდ ყოველგვარ სახელმწიფოს, ენგელსი ამტკიცებს, რომ მუშათა კლასმა უნდა შექმნას ახალი ტიპის სახელმწიფო — პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც გარდამავალ პერიოდში აუცილებელია პროლეტარიატისათვის, ხოლო შემდგომ ეტაპზე — დასოციალისტურ საზოგადოებაში — კომუნიზმის აშენებისას ეს სახელმწიფო იწყებს თანდათანობით კვდომას.

სახელმწიფოს შესახებ ენგელსის მოძღვრებას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემების გარკვევისა და გადაწყვეტისას სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პირობებში.

ისტორიული მატერიალიზმის საკვანძო პრობლემის — ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის ანალიზით ენგელსი არკვევს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ენგელსი აკრიტიკებს იდეების, როგორც საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ძალის იდეალისტურ გაგებას, ასევე — საზოგადოებისათვის მათი როლის შეუფასებლობის თვალსაზრისს.

ფასდაუდებელია ფ. ენგელსის ღვაწლი ეროვნული საკითხის თეორიისა და მისი პრაქტიკული განხორციელების საქმეში. აქაც, ამ სფეროშიც მან ბევრი ახალი, საგულისხმო აზრი გამოთქვა. ფ. ენგელსი ის ადამიანია, რომელმაც კ. მარქსთან ერთად შექმნა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ის მუშამ ებრძოდა ნაციონალიზმის, შოვინიზმის ყველა სახეს, კოსმოპოლიტიზმს, ნიჰილიზმს ეროვნულ საკითხში.

ფ. ენგელსის ზემოთ დასახელებულ თითქმის ყველა ნაშრომში გარჩეულია ფილოსოფიის, რელიგიის, მორალის, ხელოვნების და სხვა საკითხები, მათი დამოკიდებულება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე და, ამავე დროს, მათი შედარებითი დამოუკიდებლობაც: იდეების წარმოშობა განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყოფიერებით, მაგრამ ისინი ხან წინ უსწრებენ, ხან კი ჩამორჩებიან მას.

ძალიან მოხდენილად გამოიყენა ენგელსმა ეს დებულება საზოგადოებრივი ცნობიერების ისეთი რთული ფორმის ახასნელად, როგორიც არის ხელოვნება. ღრმამეცნიერულია ენგელსის მიერ ხელოვნებაში რეალიზმის არსების განსაზღვრა. ენგელსი ხელოვნებაში რეალიზმად თვლიდა

ფ. ენგელსი — მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელი

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები — კ. მარქსი და ფრ. ენგელსი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს რუსეთის ისტორიულ განვითარებას, მის საგარეო პოლიტიკას. მათ არაერთი საყურადღებო მოსაზრება წამოაყენეს ყირიმის ომის შეფასებასთან დაკავშირებით კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს ისტორიულ ბედისა და საერთაშორისო ურთიერთობაში მისი ადგილის შესახებ.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მრავალი შენიშვნა და დებულება, საქართველოს რომ ეხება, მიუთითებს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა მიერ ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულისა და აწმყოს, მისი გეოგრაფიული ლანდშაფტის საფუძვლიან ცოდნაზე. ეს გარემოება სრულიად არ იწვევს გაკვირვებას, არა მარტო იმიტომ, რომ მარქსი და ენგელსი მსოფლიო ისტორიისა და გეოგრაფიის საუკეთესო მცოდნეები იყვნენ, არამედ იმიტომაც, რომ ევროპის საზოგადოება ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებიდან იჩენდა საქართველოსადმი მეცნიერულსა და პოლიტიკურ ინტერესს. ეს, ცხადია, ხელს უწყობდა საქართველოს შესახებ ევროპაში მდიდარი აღწერილობით თუ სამეცნიერო ლიტერატურის შექმნას.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ევროპა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ეცნობა კავკასიისა და საქართველოს გეოგრაფიას ქართული კარტოგრაფების მასალებითა და რუკებით. ცნობილია, რომ 1723 წელს პარიზში გამოქვეყნდა „კავკასიის რუკა“, რომელსაც საფუძვლად ედო სპა-სულთან ორბელიანის კარტოგრაფიული მასალები, 1766 წელს კი — მასშტაბი ბაგრატიონის რუკაც. ალბათ, ამ მასალებს ეყრდნობოდა კ. მარქსი, როდესაც განმარტავდა „ალექსანდროპოლს — ქართულად გიუმრი ქალაქს“ (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 10, გვ. 21, რუს.).

ამრიგად, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებს ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ შეეფასებინათ სწორი წარმოდგენა საქართველოსა და კავკასიის წარსულსა და აწმყოზე, ეკონომიკასა და კულტურაზე, გეოგრაფიულ ლანდშაფტზე და მეცნიერული დასკვნები გაეკეთებინათ საერთაშორისო ურთიერთობაში მათი როლისა და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

XIX საუკუნის 50-იანი წლების საერთაშორისო ურთიერთობაში საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა ყირიმის ომთან დაკავშირებით გააშუქეს. ამ ომში საქართველოს ტერიტორია კავკასიის ფრონტის ერთერთ ძირითად უბანს წარმოადგენდა. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია ვაჩვენოთ ფ. ენგელსის შეხედულება საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მოგვცემს საგაზეთო წერილი.

მარქსი და ენგელსი არაერთგზის აღნიშნავდნენ ცარიზმის საგარეო პოლიტიკის აგრესიულ ხასიათს კავკასიის, საქართველოს მიმართ და ცარიზმის ამ აგრესიისადმი ევროპის მხრივ თანაგრძნობას. ცარიზმი დასავლეთ ევროპაში რეაქციული რეჟიმებისადმი მხარდაჭერისათვის იძენდა ევროპის „მაღალი კლასებისაგან“ მოქმედების თავისუფლებას კავკასიის მიმართ. ამის გამო იყო, — აღნიშნავდა მარქსი, რომ ევროპის მაღალი კლასები უსიამოვნოდ მოწონებით, მოჩვენებითი თანაგრძნობით ან იდიოტური უსულგულობით ეპყრობოდნენ მეფის რუსეთის მიერ კავკასიის მთის ციხესიმაგრეების დაუფლებას, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ცარიზმის მიერ სამფლობელოთა გაფართოებას კავკასიაში (იქვე, ტ. 16, გვ. 11). ამასთან ენგელსი აღიარებდა რუსეთის განმათავისუფლებელ მისიასაც, როდესაც წერდა, რომ მეფის რუსეთმა „საქართველო, სამეგრელო, იმერეთი და გურია“ უბრალოდ კი არ დაიკავა, არამედ იგი წაართვა მუსლიმანებსო“ (იქვე, ტ. 9, გვ. 408). მაგრამ იმის გამო, რომ მეფის რუსეთის მოსელვებმა კავკასიაში თავიანთი კოლონიური პოლიტიკით აიძულეს შემოერთებული ან მუსლიმანთაგან განთავისუფლებული ხალხები, მათ „კავკასია შესანარჩუნებელი გაუხდათო“, დასძენდა ენგელსი (იქვე, გვ. 408, 409).

ამასთან ერთად მარქსისა და ენგელსის მახვილ პოლიტიკურ აღლოს არ გამოპარვია ის შინაგანი სოციალური ძვრები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. 50-იან წლებს რუსეთში. ამ დროს რუსეთში, როგორც ცნობილია, მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია ბურჟუაზიულ – დემოკრატიული გადატრიალებისათვის ამატომ ენგელსს მაშინ შესაძლებლად მიაჩნდა „თავადაზნაურულ – ბურჟუაზიული რევოლუცია პეტერბურგში, მისი მომყოლი სამოქალაქო ომით ქვეყნის შიგნით“ (რჩ. წერილები, 1947, გვ. 67), რასაც მარქსისა და ენგელსის აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის დასავლეთში.

გასაოცარ ზედმიწევნილობას იჩენდა ფ. ენგელსი საქართველოსა და კავკასიის ლანდშაფტის ცოდნაში. მან ჯერჯერ იცოდა, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე „გემებისათვის ერთადერთ საიმედო თავშესაფარს“ ბათუმის ნავსადგური წარმოადგენდა. ბათუმი და ყარსი ტრაპიზონთან ერთად წარმოადგენდა ინგლისსა და ირანს შორის ვაჭრობის განსორციელების საიმედო პუნქტებს. მათ მიმართ რუსეთის მხრივ კონტროლის დაწესება, ან უარეს შემთხვევაში მათი გადასვლა რუსეთის მფლობელობაში, — ენგელსის აზრით, — მთლიანად ჩაშლიდა ინგლის-ირანის ვაჭრობას და რუსეთს ხელთ ექნებოდა შშვენიერი საოპერაციო ბაზა ინგლისისა და მცირე აზიის წინააღმდეგ. (იქვე, ტ. 9, გვ. 117).

ფ. ენგელსი თავის სტატიაში „საღვთო ომი“ (1853 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) რუსეთის და თურქეთის სანაპირო ოლქებს სამხედრო თვალსაზრისით ყოფდა ორ საოპერაციო ოლქად. მთების გრეხილი, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედიდან სამხრეთისაკენ მიეშართება, როგორც ენგელსი წერდა, - ჩრდილოეთ კავკასიას აკავშირებს (ცენტრალური სომხეთის ზეგანთან. ეს მთაგრეხილი ქმნის წყალგამყოფ ქედს. ერთი მხრივ, მდინარეები აქედან შავი ზღვისაკენ მიეშართებიან, მეორე მხრივ კი მდინარე არზი მისი შენაკადებით კასპიის ზღვას ერთვის.

სურათზე: ფრიდრიხ ენგელსი რევოლუციური არმიის გარიკადებზე სამხრეთ გერმანიაში (1849 წლის მაისი).

მხატვარი ვ. ზეგელევი.

წინასწარხედვა

ფრიდრიხ ენგელსი საქართველოს შესახებ

ფ. ენგელსის აზრით, ეს ქედი ყოფდა ამ ორ ოლქს, სადაც უნდა გაჩაღებულიყო სამარი მოქმედება. ამ ქედზე ძალიან ცოტა გზა გადიოდა, მათ შორის ენგელსს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა ტრაპიზონიდან და ბათუმიდან არზრუმისაკენ მიმავალი ორივე გზა. ამიტომ, ენგელსის აზრით, „ყოველი სამხედრო მიზნისათვის ეს მაღლობები თითქმის გაუვალ მაღლობებად უნდა ჩაითვალოს“, ორივე ამ ოლქში ფაქტიურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამხედრო ოპერაციებს უნდა ჰქონდეს ადგილი, თუ მოწინააღმდეგეები საქართველოს ტერიტორიას არ გამოიყენებენო.

ამის შემდეგ ენგელსი გადადის თვითეული საოპერაციო ოლქის სამხედრო-სტრატეგიულ დახასიათებაზე. „შავი ზღვის სანაპიროს მრავალი მდინარე და მთის ნაკადი სერავს, ყველა მათგანი სამხედრო თავდასაცავ პოზიციას ქმნის... ამ სპეციალურ ტერიტორიალ ადგილას (მხოლოდ მდინარე რიონის ველი წარმოადგენს ერთგვარ ვაკეს) თავდასაცავი ომი შეიძლება დიდი წარმატებით მიმდინარეობდეს უძლიერესი არმიის წინააღმდეგ (რადგან მთების წყალობით, მხოლოდ მცირეოდენი პოზიციის შემოვლა შეიძლება ნაპირიდან), თუ საქმეში სათანადო ფლოტები არ ჩაერევიან... ამრიგად, შავი ზღვის სანაპიროებს ის დაეუფლება, ვინც ამ ზღვის ბატონ-პატრონი შეიქმნება“.

ამის შემდეგ ენგელსი ახასიათებს მეორე საოპერაციო ოლქს და წერს: „შიგნითა ოლქი, მთების შიგნითა მხარედან, იმ ადგილს შეიცავს, სადაც ევფრატი, არეზი და მტკვარი სათავეს იღებენ. თურქეთის პროვინცია სომხეთის საზღვრის ერთ მხარეს იმყოფება, რუსეთის პროვინცია საქართველო — მეორე მხარეს. ეს ოლქიც ძალიან მთიანი და არმიებისათვის, საერთოდ, გაუვალია. თურქეთის მხრივ არზრუმი, რუსების მხრივ — თბილისი, ორ უშუალო საოპერაციო ბაზას წარმოადგენენ, რომლთა ფფლობელობაზე დამოკიდებულია მთელი მომდევნო ოლქის მფლობელობა...“ (იქვე, გვ. 450-451).

მაშინ თბილისისა და არზრუმის სამი შემაერთებელი გზა არსებობდა. „ერთი, — წერდა ენგელსი, — ზემო მტკვრისა და ახალციხის გაყოლებაზე მიდის, მეორე ქვემო მტკვრისა და ერევნისა, მესამე ორ პირველ გზას შუა მთებსა და ყარსზე... ახალციხის გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ კავკასიის მღელვარე ოლქებში შესვლა, მაგრამ რუსეთის კორპუსს, რომელიც ბათუმიდან ჭოროხის ხეობით და ოლთისის მხრიდან არზრუმისაკენ დაიძვრის, შეუძლია წინწამოწეული თურქეთის არმიის ფრთას დაესხას. არზრუმიდან მხოლოდ 15 მილის მანძილზე ბათუმიდან მიმავალი გზა თბილისიდან მიმავალ გზას უერთდება, ამიტომ რუსეთის კორპუსს, რომელიც აღნიშნული მიმართულებით იყლის, შეუძლია თურქებს გზა მოუჭრას... არზრუმსაც კი დაეუფლოს... მაშასადამე, — განაგრძობს ენგელსი, — მაღლობის ორივე მხრივ აზიის საომარ მოქმედებათა ასპარეზის გასაღები ბათუმია“ (იქვე), ამიტომ ბათუმს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღმოსავლეთის ომის მსვლელობაში.

რუსეთ-თურქეთს შორის საომარი მოქმედება დაიწყო კავკასიის ფრონტზე 1853 წლის 15 ოქტომბერს — გურიის ტერიტორიაზე მდებარე ფორტის — შეკვეთილის განადგურებით. ამით გათამამებულმა თურქებმა სასწრაფოდ დასძრეს თავიანთი ძალები ახალციხისა და ალექსანდროპოლისაკენ, რომელიც იყო „რუსეთის ძალაუფლების ცენტრალური პუნქტი აზიაში“ (კ. მარქსი), მაგრამ თურქები სასტიკად დამარცხა ახალციხესთან გენ. ივ. ანდრონიკაშვილმა (ერეკლე II შვილიშვილმა). ამ გამარჯვებას ისეთი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა, რომ ენგელსმაც კი ჩასთვალა საჭიროდ ამ მოვლენას გამოხმაურებოდა. მან სტატიაში „თურქეთის ომის მიმდინარეობა“ მოგვცა კავკასიის ფრონტზეს საომარი მოქმედების საყურადღებო დახასიათება. ენგელსი წერდა, რომ „რუსებმა თურქები შეავიწროვეს თავიანთი შეტევითი მოძრაობის დროს საქართველოს საზღვარზე. შეკვეთილის დაკავების დროიდან მათ მიერ არ ყოფილა აღებული არც ერთი საგუშაგო... არ მოუთავებიათ არც ერთი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო გამარჯვება და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც რუსები იძულებულნი არიან აწარმოონ ბრძოლა ყოველმხრივად არახელსაყრელ პირობებში“ (იქვე, გვ. 573). მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა.

კავკასიის ფრონტზე ყველაზე კრიტიკული მომენტი რუსეთისათვის იყო 1854 წელი. ამ წლის დასაწყისში შავ ზღვაში შემოვიდა ინგლისისა და საფრანგეთის, მოკავშირეების ფლოტი. ყარსიდან, ბაიაზეთიდან, ბათუმიდან შემოჭრას აპირებდა თურქეთის კარგად შეიარაღებული სამი კორპუსი. ჩრდილოეთ კავკასიიდან შამილის ჯარები იმუქრებოდნენ. რუსეთი იძულებული გახდა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებიდან მოესხა გარნიზონები და ქვეყნის სიღრმეში გაეგზავნა. ამ ფონზე ენგელსი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ეს ბრძოლა ... ...

თეორეტიკოსი და რევოლუციონერი

ისეთ მეთოდს, რომელიც „კაპიტალის“ გამოხატავს კაპიტალიზმის ეპოქის ბურჟუაზიული ეკონომიკისა და ფილოსოფოსების ცდა დაბადებისა. ენგელსი მარქსთან ერთად ამ მიზნით, ენგელსმა სამხედრო საქმის სტრატეგია და ტაქტიკაც ეს შეიმუშავა მუშათა კლასისათვის.

პირველად ისტორიაში ომების საკითხი მარქსისა და ენგელსის მიერ მეცნიერულად იქნა ახსნილი და სამხედრო მეცნიერება, სამხედრო ხელოვნება ჩაუენებულ იქნა რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების ინტერესების სამსახურში.

„როცა მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზოგად პერსპექტივებზე, ჩვენს ხვალინდელ დღეზე ვლაპარაკობთ, — განაცხადა ლ. ი. ბრეჟნევმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობაზე, — ოპტიმიზმითა ვართ აღსავსე. მუშათა კლასის იდეალებისათვის, მშრომელთა მასების იდეალებისათვის ბრძოლაში ჩვენ გვაქვს ნაცადი იარაღი, ეს იარაღია მარქსისტულ-ლენინური თეორია. მას საფუძვლად უდევს ისტორიული განვითარების საერთო კანონზომიერებათა ანალიზი და გათვალისწინება, მისთვის უცხოა რაიმე შაბლონი, ყოველგვარი დახავსებული დოგმა და იგი მუდამ მდიდრდება სოციალისტურ სახელმწიფოთა რევოლუციური პრაქტიკით, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრავალმხრივი გამოცდილებით“.

უკვე საუკუნეზე მეტია კაცობრიობას გზას უნათებს მარქსისა და ენგელსის მოძღვრება. მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების კლასიკური ნიმუში მოგვცა დიდმა ლენინმა. მან ულმობლად ამხილა მარქსიზმის მტრები, ერთი მხრივ, დოგმატიკოსები, რომლებიც მარქსისა და ენგელსის დებულებებს, გამოთქმულს წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქის შესახებ, უცვლელად იყენებდნენ ახალი ვითარების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, რევიზიონისტები, რომლებიც ხელყოფდნენ მარქსიზმის პრინციპებს.

ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის პრინციპები გამოიყენა შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზისა და ბუნების მეცნიერების უახლესი მიღწევების განზოგადებისათვის და შექმნა მარქსიზმის განვითარების ახალი ეტაპი — ლენინიზმი, რომელიც იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმია.

[illegible] ბურჟუაზიული ეკონომისტების და ფილოსოფოსების ცდა დაბადებისა [illegible] ენგელსი, მარქსი და [illegible] ენგელსი, [illegible] ეკონომიკურ [illegible] ბურჟუაზიულ ფილოსოფოსებს, [illegible] ბურჟუაზიულ [illegible] ბურჟუაზიულ [illegible] ბურჟუაზიულ

დღეს მახარაძის რაიონში

ირგვება, მუვენდება!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ ინიციატივა, რომ საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკაში დარგოს 50 მილიონი ძირი ხე.

ამ ხაპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში თავის სიტყვას მახარაძის სატყეო მეურნეობის კოლექტივიც ამბობს. და უკვე გაჩაღებულია პრაქტიკული საქმიანობაც. ამ ღირსეული თარიღის შესახვედრად მახარაძელმა მეტყევეებმა უნდა დავრგოთ 1.070.000 ძირი სხვადასხვა ჯიშის მერქნიანი მცენარე. აღნიშნული დავალების შესრულება გვიხდება ლიხაურის, შემოქმედის, ვაკიჯვრის, ბახვის სატყეოებში. მომდინარე წლის შემოდგომაზე კოლმეურნეობებიდან გადმოცემულ ეროზირებულ ფართობებზე უნდა დავრგოთ 590 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგი.

ჩვენ უკვე დავრგეთ 50.000 ძირი მერქნიანი ჯიშის ნერგი (აკაცია, კოპიტი). 1 დეკემბრამდე უზრუნველყოფთ მომდინარე წლის დავალების შესრულებას.

ვ. სალუქვაძე,
მახარაძის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.
(გაზეთი „ლენინის დროშა“).

სასკოლო მუზეუმი

მახარაძის პირველი საშუალო სკოლა ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია რესპუბლიკაში. მას არსებობის 120 წელი შეუსრულდა.

ამ სკოლაში სწავლობდნენ: ცნობილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რევოლუციონერი ფილიპე მახარაძე, ქართველი მხედართმთავრები, დიდი სამამულო ომის გმირები: კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ანტონ ნაკაშიძე და სხვ.

სასკოლო მუზეუმში, რომელიც ახლა მახარაძის ეგნატე ნინოშვილის სახელობის პირველ საშუალო სკოლაშია გახსნილი, კიდევ ბევრი საჯელოვანი მამულიშვილის მოღვაწეობის ამსახველი საყურადღებო დოკუმენტი და სხვა საინტერესო ექსპონატებია დაცული.

სასკოლო მუზეუმის შექმნის ინიციატორია ამავე სკოლის მასწავლებელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხოხლინკო.

საიუბილეო წელს მუზეუმში მოეწყო ლენინის კუთხე. გამოფენილი მასალები ნათლად ასახავენ დიდი ბელადის ცხოვრებისა და მისი დაუცხრომელი რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდებს.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც ყოველდღიურად ივსება ძვირფასი ექსპონატებით.

შ. ზაქარიაძე.

თაოგათა შეხვედრა

მახარაძე. (საკ. კორ.). კულტურის სახლში გაიმართა თემატური საღამო „როცა თქვენი ასაკის ვიყავით“. ეს ღონისძიება მოაწყეს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, კომკავშირის რაიკომმა და განათლების განყოფილებამ. თემატურ საღამოს ესწრებოდნენ კომკავშირული ახალგაზრდობა, ვეტერანი კომკავშირელები და კომუნისტები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ლომჯარიამ. სიტყვებით გამოვიდნენ: განათლების განყოფილების გამგე ხ. ხავთასი, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ზაქარიაძე, რაიონის პროკურორი ე. გოგუაძე, ნატანების კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ნიკოლაიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, პერსონალური პენსიონერი დ. ჭეიშვილი და სხვები. საღამო შეაჯამა პარტიის რაიკომის მდივანმა ნ. მდინარაძემ.

ციტრუსოვანთა მასობრივი კრეფა მიმდინარეობს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ნარინჯისფერი ნაყოფის უხვი მოსავალი მოიყვანეს. მათ ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 2.500 ტონა ციტრუსები ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონისა.

სურათზე: კოლმეურნეობის აგრონომი გ. გუჯაბიძე და მოწინავე მეციტრუსე მაყვალა მიმინოშვილი ციტრუსების ბაღში. ფოტო ი. ნანიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ი. ბ. ფაფილავა



ერგებული ბიოგრაფიისთვის

ი. ბ. ფაფილავა დაბადებულ-ია 1900 წელს. ათბალიანი სკოლის დამყარებისათვის აქტიური მებრძოლი, საკოლმეურნეო მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რევოლუციის ვეტერანი **იასონ ბახვასძე** უბილავა.

ი. უბილავა დაიბადა 1894 წელს სოფელ ნაბაკევში გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლო სწავლის განგრძობა.

1915 წელს მობილიზაციით გაიწვიეს მეფის არმიაში. აქ იგი დაუახლოვდა რევოლუციურ ჯგუფებს და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ჯარებმა დროებით დაამარცხეს ბ. ძიგუას (ცნობილი რაზმი, რომელშიც ი. უბილავაც იბრძოდა. იგი ტყიანდ ჩავარდა და სოხუმის ციხეში დაამწყვდიეს. აქ მან კავშირი დაამყარა რევოლუციონერებთან და მათი დახმარებით მალე (ციხიდან გაიქცა. 1921 წლის თებერვალში აირჩიეს ნაბაკევის რევკომის თავმჯდომარედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ერთხანს გალის რაიმილიციის უფროსად მუშაობდა. შემდეგ სხვადასხვა დროს იმყოფებოდა პასუხსაგებ საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე — იყო ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორი, ნაბაკევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ამავე სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

ი. უბილავა დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

რევოლუციის ვეტერანის, საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიური მონაწილის იასონ უბილავას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

პედაგოგი, მეცნიერი

ვროფესორ ნიკოლოზ სოლომონის-ძე იაშვილს პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 და დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა. მან ღირსეულად განვლო სიცოცხლის ეს პერიოდი და დიდი წვლილი შეიტანა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში, აგრარულ-ეკონომიური მეცნიერებისა და ქართული კულტურის განვითარებაში.

ნ. იაშვილი დაიბადა ქუთაისში 1900 წლის 4 ოქტომბერს რკინიგზელის ოჯახში. წარჩინებით დამთავრა რეალური სასწავლებელი და 1920 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. 1925 წელს სწავლული აგრონომის დიპლომი მიიღო და განაგრძო მუშაობა მოწსახკომის ორგანოებში — საზოგადოებრივი აგრონომიისა და საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა საზით.

მალე პროფესორ გ. გეხტმანის წინადადებით ნ. იაშვილი მოსკოვში მიავლინეს ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ეკონომიურ ფაკულტეტზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად. თბილისში დაბრუნების შემდეგ იგი ჯერ უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, შემდეგ — 1930 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ასისტენტი, ლექტორი და დოცენტია; კითხულობს საზოგადოებრივ აგრონომიას, სოფლის მეურნეობის ეკონომიკას, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციას, აგრეთვე სხვადასხვა სპეციკურსებს — უნივერსიტეტში, საფინანსო კოოპერაციულ ინსტიტუტში, ამიერკავკასიისა და საქართველოს უმაღლეს პარტიულ სკოლებში და სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო კურსებზე. ეს ლექციები ნაბარსრული და ფორმით ყოველთვის მოწონებით სარგებლობდა.

ნ. იაშვილი 1940 წელს იცავს დისერტაციას ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად („სამგორის სამელიორაციო რაიონის სასოფლო-სამეურნეო ათვისებისათვის“), ხოლო 1947 წელს — სადოქტორო დისერტაციას („საქართველოს სსრ მიწის ფონდები და მათი გამოყენება“), 1949 წელს მას პროფესორის სამეცნიერო წოდება მიენიჭა.

პროფესორი ნ. იაშვილი სწავლობს და სწავლების პარალელურად დიდი მონდომებით ეწევა მეცნიერულ კვლევაძიებას. მას მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა წარმოებასთან, ხალხთან, ამან გააფართოვა და გაადრმავა მისი ჰორიზონტი, აამაღლა ის როგორც მკვლევარი.

პროფესორ ნ. იაშვილის მეცნიერულ-კვლევითი ინტერესი ფართოა და შეიცავს: მეცნიერების კლასიფიკაციის, კვლევის, სწავლისა და სწავლების ამოცანების, მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის, ორგანიზაციისა და მშენებლობის საკითხებს; კადრების მომზადებაში სპეციალიზაციისა და უნივერსალიზაციის საკითხებსა და საერთოდ განათლებული, კულტურული ადამიანების აღზრდის პრობლემებს. ამასთანავე იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პარტიისა და მთავრობის აგრარულ-ეკონომიური პოლიტიკის ღონისძიებათა ეფექტიანი განხორციელების საკითხებს: საქართველოს სპეციფიკური და ძვირფასი სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, სპეციალიზაციის დარგთა და კულტურათა სწორი შეთანაწყობის, ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სრული ორგანიზაციულ-საწარმოო მოწყობისა და წარმოების მეცნიერულად დასაბუთებული გაძღოლის სისტემების დანერგვას.

პროფესორი ნ. იაშვილი იმთავითვე ბეჯითად სწავლობდა საქართველოს მიწის ფონდის, წარმოების ამ უმნიშვნელოვანესი, მთავარი და შეუცვლელი ძირითადი საშუალების მაღალეფექტურ გამოყენებას, ძვირფასი ტექნიკური კულტურების — ვაზის, ხეხილის რაც შეიძლება მეტი და იაფი პროდუქციის მიღებისათვის. ამავე მიზნით იგი წლების მანძილზე იკვლევდა და სწავლობდა რესპუბლიკის წყლის რესურსებს და მათი რაციონალური გამოყენების საკითხებს. მისი ხანგრძლივი კვლევისა და ყოველმხრივი შესწავლის მთავარი საგანია საქართველოს — მიწა და წყალი, ვაზი და ღვინო. ამასთანავე იგი დიდი ინტერესითა და სიყვარულით ეხმაურება საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების მთელ რიგ მომიჯნავე საკითხებს. პროფესორ ნ. იაშვილს გამოქვეყნებული აქვს მრავალი მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული შრომა—მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, ცალკე წიგნებად და ჟურნალებში, ჟურნალებში, ფურცლებში, შრომებსა და სხვა გამოცემებში.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად პროფესორი ნ. იაშვილი სისტემატურად მუშაობდა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო, საგეგმო და ოპერაციულ ორგანოებსა და დაწესებულებებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სადგურებში, სადაც ასრულებდა განყოფილებისა და სექტორის გამგის, აგრეთვე დირექტორის მოადგილის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის დარგში და ცალკეულ პრობლემათა დამუშავების სპეციალური ჯგუფების ხელმძღვანელის თანამდებობებს.

პროფესორი ნ. იაშვილი იმთავითვე უახლოეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ-სამეცნიერო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში.

1950 წლიდან ნ. იაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს უცხოეთთან კულტურული კავშირისა და მეგობრობის საქართველოს საზოგადოების მუშაობაში, როგორც სოციოლოგიური სექციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი და „სსრ კავშირ-იაპონიის საზოგადოების“ თბილისის განყოფილების პრეზიდენტი.

1962-1963 წლებში ნ. იაშვილი, საბჭოთა ოთხ პროფესორთან ერთად, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებამ მიავლინა ბულგარეთში. იქ წაიკითხა სპინტერესო ლექციების ციკლი სოფლის უნივერსიტეტში და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

პროფესორი ნ. იაშვილი აშკამად მოღვაწეობს თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის დარგობრივი ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორად და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად,

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს პროფესორ ნ. იაშვილის ღვაწლი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 4 მაისის ბრძანებულებით მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1970 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით სანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პროფესორი ნ. იაშვილი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

მხეოგანი პროფესორი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ეწევა მრავალმხრივ პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობას და სათანადო სარგებლობა მოაქვს მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების დარგში. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები, თანამშრომლები და კოლეგები, მთელი მეცნიერული საზოგადოებრიობა გულითადად მიესალმებიან და უსურვებენ მას ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს მშობლიური ქვეყნისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ა. გუნია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

გ. ჭანუყვაძე,
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

კარლოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი

პრაღიდან თბილისში დაბრუნდა სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **დ. ლორთქიფანიძე.** კარლოვის უნივერსიტეტში მას საზეიმო ვითარებაში გადასცეს ამ უძველესი უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორის დიპლომი, მედალი და მანტია. ადრე მეცნიერი არჩეული იყო ბრატისლავის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ეს არის დავით ლორთქიფანიძის დამსახურებათა დიდი აღიარება ჩეხი მოაზროვნისა და ჰუმანისტის **იან ამოს კომენსკის** მემკვიდრეობის შესწავლაში, ქართული მეცნიერების მოღვაწეს წვლილი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის განვითარებაში.

საიუბილეო წელს მუზეუმში მოეწყო ლენინის კუთხე. გამოფენილი მასალები ნათლად ასახავენ დიდი ბელადის ცხოვრებისა და მისი დაუცხრომელი რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდებს.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტენდი, რომელიც ყოველდღიურად ივსება ძვირფასი ექსპონატებით.

შ. ზაქარიაძე.

ჟურნალისტ ბაბუა

ოქროს მატჩის წინ

საპაპუირო პირველობის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა, როდესაც ჩემპიონობის საკითხი ფეხბურთში დამატებითმა მატჩმა უნდა გადაწყვიტოს. პირველი ასეთი მატჩის მოწმე ვიყავით 1964 წელს ტაშკენტში თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. და აი ექვსი წლის შემდეგ — 5 დეკემბერს ოქროს მედლების საკითხი. ისევ ტაშკენტში „პახტაკორის“ სტადიონზე უნდა გადაწყდეს, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები ცსკა და „დინამო“.

1936 წლიდან მეტოქეები ორმოცდაჩვიდმეტჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან ცსკა-მ მოიგო 22 მატჩი, „დინამომ“ — 21, 14 შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ბურთების სხვაობა შეადგენს 88-73 დინამოელთა სასარგებლოდ.

ორივე გუნდმა დაამთავრა ტურნირი საზღვარგარეთ და ემზადება ოქროს მატჩისათვის. რა თქმა უნდა, მეტოქეებს ამ შეხვედრაში ფრე არ დაკმაყოფილებს. და თუ მაინც მატჩი როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში (80 წუთი) ფრედ დამთავრდა, მაშინ გადამწყვეტი შეხვედრა მეორე დღეს შედგება. თუ აქაც ძირითად და დამატებით დროში ფრე აღინიშნა, მაშინ არბიტრი მოიდანზე მოუხმობს ხუთ არმიელსა და ამდენივე დინამოელს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმების შესასრულებლად და ჩემპიონობის საკითხსაც ეს პროცედურა გადაწყვეტს.

ჩემპიონის დამარცხება

სსრ კავშირის ჩემპიონი — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ჯალაბურთელი ვაჟთა გუნდი კიევს ეწვია და 26 ნოემბერს მორიგი ტურის შეხვედრა ჰქონდა ადგილობრივ „სტროიტელთან“. მასპინძლები აღმოვლინთი იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 58:55.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს რიგაში პაექრობა ჰქონდა ვეფ-თან და დამარცხდა 70:76.

დღეს შედგება ოთხი მატჩი. თბილისის დინამოელები რიგაში შეხვდებიან რიგის ვეფ-ს. მინსკში ითამაშებენ ლენინგრადის „სპარტაკისა“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდები. კიევის „სტროიტელი“ უმასპინძლებს ტარტუს „კალევს“. მოსკოვში პაექრობა ექნებათ დედაქალაქის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისს“.

ფეხბურთის ამბები

● **რომი.** იტალიის სპორტულ პრესაში სულ უფრო აკრიტიკებენ ფეხბურთში მსოფლიო ვიცე-ჩემპიონის, იტალიის ნაკრების მწვრთნელს ფერუჩიო ვალკარეჯოს: „დაუყოვნებლივ შეცვალეთ ჩვენი ნაკრების შემადგენლობა, სასწრაფოდ შეიყვანეთ ფორვარდები „მილანელი“ ბიასიოლო, ბენეტი და რივერა, გამოიყენეთ ბურგნიჩი, ბერტინი, სერა და სიმონი“. ჟურნალისტები აშკარად ამბობენ: „იტალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალისტთა შორის ვერ მოხვდება, თუ არ გააახალგაზრდავდაო“.

მაგრამ ვალკარეჯი მტკიცედ დგას: „სკუადრის“ შემადგენლობას შევინარჩუნებთ სულ ცოტა ორ წელს, ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე, როცა ევროპის ჩემპიონთა ტიტულს დავიცავთ. მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ ვეტერანთა შეცვლაზე. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა კი ჯერჯერობით გამოცდილება შეიძინონ“.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ხმები დადის, ბრაზილიელ ფეხბურთელებს მეხიკოში მსოფლიო თასი კი არა, მისი პირი გადასცესო. ამის გამო ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მექსიკაში მიღებული „ოქროს ქალღმერთი“ ნამდვილია თუ პირი. მთავარია, რომ მსოფლიო ჩემპიონთა ტიტული მოვიპოვეთო“. ასეთივე აზრისაა ბრაზილიის ნაკრების ტექნიკური ხელმძღვანელი ანტონიო დო პასო: „არ გვაინტერესებს ლონდონიდან მიღებული სხვადასხვა ცნობა თასის შეცვლის შესახებ. შემიძლია ვთქვა, რომ თუ ისინი (ინგლისელები) ორიგინალს იპოვნიან და ახალ გათამაშებას მოისურვებენ, ჩვენთვის ეს სულერთია, კვლავ გავემზადებით ტურნირზე და კვლავ ჩამოვიტანთ შინ სპატიო ჯილდოს. დე, რაც უნდათ ის ილაპარაკონ“.

ლაპარაკი ულოგზა

ესოდენ დაძაბული ტურნირი უკვე მრავალი წელია აღარ გამართულა.

12 ტურის შემდეგ მხოლოდ ორი მოსაწილე დარჩა დაუმარცხელი — ლ. პოლუგაევსკი და ბ. ივკოვი. არაერთ სიურპრიზს წავაწყდით და, ეუბ გარეშეა, კიდევ უფრო მეტი მოგველის —შეჯიბრების მეორე ნახევარში ხომ სიმწვავე იმატებს.

პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტი დღეისათვის რ. ფიშერია. საქმე მარტო ის როდია, რომ ახალგაზრდა გროსმაისტერი დღეისთვის ლიდერობს გათამაშებას. სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ რ. ფიშერს გასავლელი დარჩა „ოაზისი“ (ტ. პეტროსიანის გამოთქმა) — ზედიზედ ხვდება ოთხ ოსტატს — დ. მინჩჩს, ე. ხმენესს, ტ. უოტუმენსა და ი. რუბინეტის. რ. ფიშერმა კორესპონდენტებს განუცხადა: „ვერ ვხედავ, ვინ უნდა შემეცილოს პირველ ადგილს. ისეკი, რა თქმა უნდა, ცალკეული პარტიების წაგებისაგან არავინ არ არის დაზღვეული“.

ჯერჯერობით ოთხივე საბჭოთა გროსმაისტერი ინარჩუნებს ექვსეულისათვის ბრძოლის შესაძლებლობას, მაგრამ მათ მოუხდებათ „სიჩქარის ჩართვა“, რადგან პირველ ნახევარში ისედაც ბევრი პარტია დაამთავრეს ყაიმით — ლ. პოლუგაევსკიმ 10 (!), მ. ტაიმანოვმა — 9, ვ. სმისლოვმა — 8, ე. გელერმა — 6. ისეთი აგრესიული მოქადაგეებისაგან, როგორიც ლ. პოლუგაევსკი და მ. ტაიმანოვი არიან, ეს მართლაც მოულოდნელი იყო. ვ. სმისლოვი მართალია, რამდენადმე ჩამორჩა მეტოქეებს, მაგრამ შედარებით იოლი ფინიში მოელის. რ. ფიშერისა არ იყოს, მასაც „ოაზისი“ დარჩა გასავლელი.

ადრინდელი აღიარებული ფავორიტებიდან ახლა თამამად შეიძლება მხოლოდ ერთის „ჩამოწერა“. ეს გახლავთ ვ. ჰორტი, რომელმაც ექვსეულში მოსახვედრად დარჩენილი 11 პარტიიდან უნდა მოაგროვოს 9 ქულა, ეს, რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია.

ლიდერთა ჯგუფში მტკიცედ „მიაბიჯებს“ ორი ოსტატი — რ. ჰიუბნერი და ჰ. მეკინგი. ორივეს შესანიშნავი მიღწევები აქვს, მაგრამ გროსმაისტერის ნორმამდე (13,5 ქულა) ჯერ კიდევ ბევრი ფათერაკის გადატანა მოუხდებათ, თუკი საერთოდ შეძლეს მიზნის მიღწევა, დანარჩენ 7 ოსტატს ამ ნორმისათვის ბრძოლის შესაძლებლობა აღარა აქვს.

უკვე არაერთხელ აღინიშნა, რომ საზონთაშორისო ტურნირში თავი მოიყარა ირანახულად ძლიერმა შემადგენლობამ. შეჯიბრებას საერთოდ არა ჰყავს აშკარა აუტსაიდერი. თვით ე. ხიმენესმაც კი, რომელიც ახლა უკანასკნელ, 24-ე ადგილზეა, ყაიმით დაამთავრა ძნელი შეხვედრები ე. გელერთან, ბ. ლარსენთან და ბ. ივკოვთან, ნაკლებ ცხობილმა ფილიპინელმა რ. ნარანიამ ყაიმით დაამთავრა პარტიები რ. ფიშერთან ვ. სმისლოვთან, მ. ტაიმანოვთან და ბ. ივკოვთან.

განვლილმა 12 ტურმა ჯერ თითქმის ვერაფერი გამოარკვია. ამიტომ იწვევს შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი უმაგალითო ინტერესს. 6 საპრიზო ადგილისათვის 14 მონაწილე მაინც იბრძვის.

გ. გამრეკელი.

ტელევიზია

28 ნოემბერი

09.35 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმენელად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.15 — „სომხეთის მეცნიერები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „უკანასკნელი არდადეგები“, 13.15 — საბჭოთა საქართველო — 50 „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ გაგრის რაიონი (განმეორებით), 14.00—ქართული მხატვრული ფილმი „ჯვარცმული კუნძული“, 15.20—„საუსტრადო პანორამა“, 15.55 — კინონარკვევი, 16.25 — გადაცემა „დიდი მოაზროვნე და რევოლუციონერი“ (ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 150 წლისთავი), 16.40 — „ვემზადოთ ხალხთა სპარტაკიადისათვის“. ფრენბურთი, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — დოკუმენტური ფილმი „მკვლელობის საფასური გადახდილია“. (ქართულ ენაზე), 18.15 — მოსწავლეთათვის — „მუსიკალური ვიქტორინა“, 18.45 — „მეგობართა კინოხელოვნება“ — სომხეთის სსრ, 19.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — კინონარკვევი, 20.25 — მხატვრული ფილმი „ბიფრინავენ წეროები“, 22.00 — გადაცემა ციკლიდან „შემოქმედებითი პორტრეტები“ — გასო გოძიაშვილი.

29 ნოემბერი

10.45 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 11.00 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ — (მოსკოვიდან), 11.30 — მუსიკალური კიოსკი (მოსკოვიდან), 12.00—დოკუმენტური ფილმი, 12.25 — გადაცემა მიძღვნილი სომხეთის სსრ და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი. დასასრულ სომხეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 14.30 — გადაცემა ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“. — ცაგერის რაიონი (განმეორებით), 15.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოობიექტივი“—(განმეორებით), 17.00 —კინონარკვევი, 17.10—გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 —გადაცემა ციკლიდან — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ,“ — ონის რაიონი, 19.05 — „სოფლის მშრომელები“. — სომხეთის სსრ, 19 30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.40 — გადაცემა ციკლიდან „დიდი წლების ქრონიკა“ — 1936 .წ, 20.00 — სომხეთის სსრ და სომხეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის რეპორტაჟი (მოსკოვიდან), 22.10 — საესტრადო გასართობი პროგრამა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

28 ნოემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაისი; **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფედრა; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დედინაცვალი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთავარის მოტაცება; **გრიბოედოვის სახელობის** — ძველი არბატის ზღაპრები (მე-4 აბონ. მე-3 წარმოდგენა); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი სიდედრი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უცნაური ბიჭი (№ 45 აბონ. 5 ს. და 30 წ.); **თოჯინების ქართული** — ტყის კომედია (10 ს. 36-ე და 147-ე სკოლები, 12 ს. 67-ე და 89-ე სკოლები) — ხუთკუნტულა (2 ს. 1-ლი, მე-6 და I გასანგრძლივებული სკოლები).

კინო

28 ნოემბერი

ოქტომბერი — წითელი კარავი (I, II სერია); ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სიხარული, თბილისი, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, სპარტაკი, კოლხიდა, ბათუმი — **გიტარიანი თვითმარქვია;** საქართველო (მწვანე დარბაზი) — **მატარებელი** (I, II სერია); ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კოლმეურნე — **მოლოდინი;** 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი). ეკრანი — **ვეფხვის ნაკვალევზე;** 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ვარძია, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ერთ-ერთი ქალიშვილი;** თანამგზავრი — **პრინცესა;** ნაკაღული, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **შვიდდღიანი ვადა.**

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

მომრავლდა ციცარი

ქედის მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმამ საქართველოში პირველმა დაიწყო ციცრის მოშენება. ჯერჯეროობით გუნდი დიდი არ არის — 900-მდე ფრთაა, მაგრამ დროთა განმავლობაში ფერმა შეძლებს გაყიდოს კვერცხიც და ერთდღიანი წიწილებიც ინკუბატორიდან.

მეფრინველეობის ფერმის გამგემ ზოოტექნიკოსმა გივი ჩახვაძემ გვიამბო:

— ციცარი ძალიან ხელსაყრელი ფრინველია. დავიწყოთ იმით, რომ იგი ადვილად მოსავლელი და ამტანია, უძლებს 30 გრადუსამდე ყინვას. ეს კი შესაძლებელს ხდის ციცრების შენახვას მსუბუქ ფარდულებში. ძალიან მაღალია მოზარდეულის გამძლეობა. ხორცის გამოსავლიანობა ქათმისაზე უფრო მაღალია. ხორცი გემოთი მოგვაგონებს გარეული ფრინველის, მაგალითად, ხოხბის ხორცს.

ფერმაში სამი სახეობის ციცარია — ნაცრისფერი, ცისფერი, თეთრი. ნაცრისფერი ციცარი სახორცეა, თეთრი — მკვერცხული.

1971 წლის მარტში ფერმაში მიიღებენ ციცრის კვერცხს, რაც შესაძლებელს გახდის ამ ძვირფასი ჯიშის ფრინველის მომრავლების დაწყებას.

სურათზე: მეფრინველე, კომკავშირელი შუშანა აბულაძე.

ფოტო და ტექსტი **ვ. ბაბაიანისა.**

კომუნისტი

თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 13341

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.